ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი #1

ქ. ონი 14 დეკემბერი 2021 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე ლევან ორდინიძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თორნიკე მეტრეველი, ნინო გობეჯიშვილი, მერაბ ბიჭაშვილი, ბესიკი მაისურაძე, ნონა მაისურაძე, თამაზ მეტრეველი, ფრიდონ გოგრიჭიანი, თამილა არჩვაძე.

არ ესწრებოდნენ: ემზარ საბანაძე, ნოდარ ბურდილაძე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.
    - 2022-2025 წლების ბიუჯეტის პროგრამული დანართი
    - 2022 წლის ბიუჯეტის კაპიტალური დანართი
    - ონის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების ბიუჯეტის დანართი
    - ონის მუნიციპალიტეტის 2022-2025 პრიორიტეტების დოკუმენტი

    მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

2. ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ. მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

3. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ. მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს : 1. ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.

- 2022-2025 წლების ბიუჯეტის პროგრამული დანართი
- 2022 წლის ბიუჯეტის კაპიტალური დანართი

- ონის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების ბიუჯეტის დანართი
- ონის მუნიციპალიტეტის 2022-2025 პრიორიტეტების დოკუმენტი

მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: თამაზ მეტრეველმა აღნიშნა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში ავადმყოფთა სოციალური დაცვის კუთხით გათვალისწინებულია 88 000 ლარი, რამდენად საკმარისია ეს თანხა აღნიშნული მიზნისთვის?

გადაწყდა: კომისია თანახმაა აღნიშნული პროექტი წარმოდგენილი სახით შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს : 2. ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ.

მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ.

გადაწყდა: კომისია თანახმაა აღნიშნული პროექტი წარმოდგენილი სახით შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს : 3. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

კომისიის წევრებმა გამოთქვეს აზრი, რომ მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტების სახელფასო განაკვეთი 880 ლარი არსებული ინფლაციის ფონზე მინიმალურია და კარგი იქნება თუ სამომავლოდ საკითხი გადაიხედება.

გადაწყდა: კომისია თანახმაა აღნიშნული პროექტი წარმოდგენილი სახით შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ლევან ორდინიძე

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე